

ნოღაიდელი გაუგებარი პარტიის ლიდერია

გაზეთი “ახალი თაობა” – 23 მარტი, № 68, 2010

ინტერვიუ ექსპერტ ექსპერტ ლადო პაპავასთან

– ბატონო ლადო, ეკონომიკური და ტერიტორიული ინტერესების დაკმაყოფილების შემდეგ, რამდენად რეალურია, რომ რუსეთმა მორიგი შეიარაღებული აგრესია განახორციელოს საქართველოს მიმართ?

– ბოლოს ამის გამეორების ყველაზე დიდი საფრთხე იყო 13 მარტი: როცა ტელეეთერით ასეთი ინფორმაცია გადის, მავანმა შესაძლოა სწორად ვერ გაიგოს, რა ხდება. ეს შეიძლება გახდეს მაპროვოცირებელი გართულებების, რომელთაც შეიძლება ფართომასშტაბიანი საომარი ოპერაციებიც კი წამოიწყოს. ისე, კი დღეს ობიექტური საფუძველი, რომ რუსეთმა გაიმეოროს სამხედრო ოპერაცია საქართველოს წინააღმდეგ, თუ კი ამის პროვოცირება ქართულმა მხარემ არ მოახდინა, არ არსებობს, და არა იმიტომ, რომ რუსები უცებ კეთილები გახდნენ. არა. უბრალოდ, დღეს შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში რუსეთს არ აწყობს სიტუაცია დაამძიმოს. რუსეთს პრაქტიკულად ყველაფერი შერჩა, არც ერთ საერთაშორისო ფორმატიდან ის არ გაუგდიათ, ყველა საერთაშორისო ფორმატში, სადაც შეეძლო საქართველოს ინტერესები დაბლოკა. სხვა თუ არაფერი, ეუთოსა და გაეროს მისიებია რუსეთის ინიციატივით დასრულდა. ასე რომ, მან თავისას მიაღწია. თანაც ფრანგები მზად არიან რუსებს სამხედრო გემი მიყდონ. ამერიკელებმა რუსეთთან ურთიერთობის ახლებურად ახლებურად მოწყობას “გადატვირთვა” დაარქვეს, ხოლო ნატო-რუსეთის კომისია კვლავინდებურად მუშაობს. ასე რომ, აგრესორმა რაც უნდოდა, ყველაფერი გააკეთა. კავკასიაში თავის თათი შემოყო და უკვე როცა მოუნდებათ, ძალიან ადვილია კავკასიის სრული გაკონტროლება. დღეს რუსეთს უნდა, რომ მსოფლიოს აჩვენოს, რომ ის “კეთილი” და არა “ბოროტი ძიაა” ქართველების მიმართ.

– ღიად იკვეთება რუსეთის ინტერესი, რომ საქართველოში რეჟიმის შეცვლა მართლა უნდა?

– ეს არის ოფციალურად გამოსატული მოთხოვნა, თორემ, ისე სულაც არ არის რუსეთი საქართველოში რეჟიმის შეცვლით დაინტერესებული.

სააკაშვილის რეჟიმთან რუსეთი თავს ყველაზე კომფორტულად გრძნობს. ოფიციალური პოზიცია რუსეთს ასეთი აქვს: სააკაშვილთანთან ის უშუალო კონტაქტში არ შედის, ამიტომ რასაც უნდა, იმას აკეთებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. თუმცა, რეალურად მოსკოვი მაინც არის კონტაქტში თბილისთან, რასაც ლარსის გამშვები პუნქტის გაიხსნაც მოწმობს.

– რადგან ლარსი ახსენეთ, საბაჟო გამშვები პუნქტის გახსნის გამო აზერბაიჯანთან ურთიერთობა დაეძაბება საქართველოს? უკმაყოფილება აზერბაიჯანში უკვე გამოითქვა.

– უკმაყოფილება კი გამოითქვა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას დაძაბავს. იმიტომ, რომ ლარსი ადრეც იყო ღია.

– დღეს ხელისუფლება ლაპარაკობს იმაზე, რომ რუსეთ-ბელორუსია-ყაზახეთის საბაჟო კავშირი გზას გაუხსნის ქართულ ღვინოსა და მინერალურ წყალს რუსეთის ბაზარზე. რამდენად იზიარებთ ამას?

– შეიძლება ასეც მოხდეს, თუმცა სულაც არ არის გამორიცხული, რომ რუსეთის ბაზრის შემდეგ ქართული ღვინოსა და მინერალურ წყლისათვის ბელორუსიისა და ყაზახეთის ბაზრებიც დაიხუროს. ეს კი კრემლზეა დამოკიდებული. ამიტომ საქართველოს მთავრობის ზოგერთ წევრთა ბაქიაობა ამ თემაზე გაუმართლებლად მიმაჩნია – სწორედ ამ ბაქიაობამ შეიძლება კიდევ ერთხელ გააღიზიანოს კრემლი და მიაღებინოს გადაწყვეტილება, რომ აიძულოს მინსკი და ასტანა მიბაძოს მოსკოვის 2006 წელ მიღებულ გადაწყვეტილებას. როგორც უკვე გითხარით მოსკოვს დღეს უნდა “კეთილი ძიის” იმიჯის შექმნა, ამიტომ შესაძლოა მან აღარ მიაქციოს ჩვენს ბრიყვულ ბაქიაობსა ყურადღება და დიდი პომპეზურობით ოფიციალურად გახსნას კიდევ ჩვენი პროდუქციისათვის ბაზარი. ხსენებული ბაქიაობა კი იმით არის განპირობებული, რომ საქართველოს მთავრობა იღებს პრევენციულ ზომებს, რომ კრემლის შესაძლო პოზიტიური ნაბიჯი არ დაბრალდეს მოსკოვში მოსიარულე ოპოზიციონერებს, თუმცა ტრადიციულად არ ფიქრობს იმაზე, რომ ამ ბაქიაობით მოსკოვი შეიძლება იმდენად გააღიზიანოს, რომ მინსკიცა და ასტანაც თავის ჭკუაზე გადმოიყვანოს, და ქართულ პროდუქციას უკვე ბელორუსიისა და ყაზახეთის ბაზრებიც დააკარგვინოს.

– ბატონო ლადო, ხელისუფლება ამტკიცებს, რომ რუსეთმა დასაყრდენი ქართულ ოპოზიციაში ჰპოვა. ასეა?

– ჩვენი ხელისუფლების მიზანია, რომ შავ-თეთრ ფერებში წარმოადგინოს ქართული პოლიტიკური სურათი, რომლის თანახმადაც ის არის “თეთრ

ფერებში”, ანუ პროდასავლურია და ზრუნავს საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე, ხოლო ოპოზიცია კი “შავ ფერშია”, ანუ მხოლოდ და მხოლოდ პრორუსულია. მას ნამდვილად არ აწყობს ისეთი ოპოზიციური ძალების არსებობა, რომელიც არ მიდიან რუსეთთან არანაირ კონტაქტზე და არც ხელისუფლებასთან არ აპირებენ თანამშრომლობას. მაგალითად, ხელისუფლებისთვის ძალიან გამაღიზიანებელია ეროვნული ფორუმი. გამაღიზიანებელია ასევე ალიანსი საქართველოსთვის, რადგანაც მას აქვს პროდასავლური სახელი. გამოდის, რომ მარტო ხელისუფლებას არ აქვს პრეტენზია იმაზე, რომ იყოს პროდასავლური, ხოლო ოპოზიცია კი მხოლოდ პრორუსულია. მართალია ალიანსის ლიდერმა ირაკლი ალასანიამ სწორედ ვერ გათვალა ის ნაბიჯი, როცა ჭადრაკის სასახლეში ნოლაიდელის გვერდით დადგა – ამით მან ხელი შეუწყო ხელისუფლების მიერ ოპოზიციის მხოლოდ პრორუსულად მონათვლის პროცესს. ალასანიამ თავის თავიც ჩაიყენა იმ საფრთხეში, რომ დაეკარგა პროდასავლური ძალის იმიჯი. სამწუხაროდ, შეცდომა მოუვიდა ინტელიგენციასაც, რომელიც ასევე მივიდა იმ შეხვედრაზე.

– რაც შეეხება ნოლაიდელს, ფიქრობთ, რომ მისი რუსეთში ვიზიტები რაიმე შედეგს მოიტანს? ნოლაიდელი აცხადებს, რომ ის რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნებისთვის იღწვის.

– ნოლაიდელზე ბევრი საუბარი არც ღირს. რაც შეეხება ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე მის მიერ დაბრუნებას, ეს ნამდვილად სასაცილოა. ნოლაიდელი იყო ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, როცა ქართული პროდუქციისთვის რუსული ბაზარი დაიხურა. ამის გამო როდესმე ნოლაიდელის ხმა ამოუღია? პრემიერ-მინისტრ ნოლაიდელს ჰქონია მცდელობა, რომ ჩასულიყო რუსეთში და შეხვედროდა იგივე პუტინს? მაშინ როგორც პრემიერ-მინისტრი ის სახელმწიფო ბერკეტებსაც ფლობდა. დღეს ვინ არის ნოლაიდელი? დღეს ის ერთი გაუგებარი პარტიის ლიდერია.

– რატომ დაჯდა პუტინი არაპოპულარულ ფიგურასთან ნოლაიდელთან სალაპარაკოდ?

– იმიტომ, რომ პუტინისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს აჩვენოს, რომ საქართველოში მოსკოვის მხარდამჭერებიც არსებობენ. აქამდე ფორმალურად ასეთი ძალები არ იყო. აქამდე ერთი იგორ გიორგაძე ჰყავდათ და ისიც თანაც მოსკოვში. ახლა უნდათ, რომ ასეთი პიროვნებები თბილისშიც ჰყავდეთ. შეცდომა დაუშვა ნინო ბურჯანაძემ, რომელმაც ნოლაიდელის ნაკვალევზე იარა. ნოლაიდელი რუსთაველი არ არის, რომ მის ნაკვალევზე

სიარული ღირდეს... თანაც ნოღაიდელის ნაკვალევზე სიარული ისევ და ისევ ხელისუფლებისთვისაა მომგებიანი, რომ მთელი ოპოზიცია პრორუსულობაში გასვაროს!

– როგორც ჩანს, ბურჯანაძე ასე არ თვლის და აცხადებს, ის დიდ პოლიტიკას აკეთებს.

– დიდ პოლიტიკას ის ხალხი აკეთებს, ვინსაც შესაბამისი პოლიტიკური თანამდებობა უჭირავს ან თავისი წარსულით საერთაშორისო რანგის პოლიტიკური მოღვაწეა. სამწუხაროდ, საქართველოს გადამდგარი შარლ დე გოლი არ ჰყავს.

– ბატონო ლადო, ხომ არ ფიქრობთ, რომ რაღაც გადაფარა ხელისუფლებამ 13 მარტის ტელეიმიტაციით?

– კი, როგორ არა. შეიძლება 13 მარტს ამ კუთხითაც შევხედოთ. 13 მარტის წინ ცნობილი გახდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ვრცელი ანგარიშგება, სადაც საქართველო საკმაოდ კრიტიკულადაა მოხსენებული. ამ დოკუმენტის განხილვა ხელისუფლებისათვის სასურველი არ იყო, და შეგნებით თუ შეუგნებლად 13 მარტის ტელეპროვოკაციამ გადაფარა საქართველოსათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტის განხილვა. შეგახსენებთ ტალიავინის კომისიის დასკვნას, მაშინ როგორ გადაიფარა ეს თემა – პრეზიდენტი მივიდა პარლამენტში და ეკონომიკური თავისუფლების პოპულისტური აქტი გააჟღერა.

– ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნაში დიად არის მითითებული, რომ საქართველოში არის ელიტარული კორუფცია. სააკაშვილი კი ყველა შეხვედრაზე საქართველოში და საზღვარგარეთ აცხადებს, რომ ქვეყანაში მოისპო კორუფცია.

– ელიტარული კორუფცია ყველგან არსებობს. როგორც ადამიანში არსებობს კეთილი და ბოროტი, ისევე საზოგადოებაში არსებობს კორუფცია, როგორც ბოროტების გამოვლინების ერთ-ერთი ფორმა. არც ერთი ქვეყანა ამისგან თავისუფალი არ არის, უბრალოდ ზოგიერთ ქვეყანაში ის მაღალ დონეზეა, ზოგში კი დაბალ დონეზეა. ჩვენი ქვეყანა ელიტარული კორუფციის თვალსაზრისით არის ძალიან მაღალ დონეზე. ჩვენთან ქვედა დონის კორუფცია თითქმის მოვსპეთ: პოლიციელი, ქუჩაში სპეციალურად არ გხვდება, რომ ფული გამოგძალოს და ა.შ. ეს აღარ არის და ამ მხრივ მართლაც წარმატებული ქვეყანა ვართ. მაგრამ ელიტარული კორუფცია მაღალ დონეზეა. გავიხსენოთ თემა, რომელიც ირაკლი ოქრუაშვილთან არის დაკავშირებული – ეს ხომ

ელიტარული კორუფციის მაგალითია. გავიხსენოთ იარღთან დაკავშირებული ამბავი, “არტი-ჯგუფის” ბიზნესი და ა.შ. ანდა ელიტარული კორუფციის ნაირსახეობა არ არის ის, როცა სიჩუმისათვის მაღალი თანამდებობის პირებს სიმბოლურ ფასად ჩუქნიან სახელმწიფო ქონებას. არის ეს, თუ არა ელიტარული კორუფცია? როცა ქალბატონი ნინო აღარ გაჩუმდა შემდეგ წაართვეს კიდევაც მას წყნეთის აგარაკი. ბურჯანაძე ქვეყნის მეორე პირი იყო და გახმაურდა ეს ფაქტი, თორემ ასეთი შემთხვევა ერთად-ერთი როდია. კარგად ვიცით, როგორ აქვს „შეწერილი” მსხვილ ბიზნესს სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსება. სწორედ ეს არის იმის ახსნა, თუ რატომ არის, რომ როცა მსოფლიოში ნავთობზე ფასები დაბალია, საქართველოში ნავთობპროდუქტებზე ფასები კი მაინც მაღალი რჩება. სწორედ იმისთვის, რომ ელიტარული კორუფციისთვის შეეწყოს ხელი, გააუქმეს ანტიმონოპოლიური სამსახური, რომ მას არ ეკონტროლებინა სხვადასხვა მსხვილი კომპანიების საქმიანობა, რომელთა მფლობელები სახელმწიფო ჩინოვნიკები და მათი ახლობლები არიან.

– ბოლო პერიოდში ქრისტიან-დემოკრატები ხშირად საუბრობენ ფასების გაუმართლებელ ზრდაზე. რამდენად შესაძლებელია, რომ მართლაც მოხდეს ფასების ცვლილება და რამდენად არის ამაში გადამწყვეტი იგივე პრეზიდენტის ნება?

– არ ვიცი, კონკრეტულად რომელ ბიზნესს, ვინ აკონტროლებს. შემძლია ვთქვა, რომ ყველა ბიზნესი მეტ-ნაკლებად კონტროლდება. რაც შეეხება ფასებს, ფასებს უნდა ადგენდეს ბაზარი და არა ამა თუ იმ მოღვაწეთა, თუ მოხელეთა ნება. მაგრამ მთავარია თუ რა აქვს ხელისუფლებას გათვალისწინებულ ვინაობაარჩევნო სცენარში. თუ სააკაშვილს ენდომება, რომ გიგი უგულავა ვერ გახდეს მერი, მაშინ ალბათ არც ფასები არ უნდა შემცირდეს. ამ შემთხვევისათვის ხელისუფლებას ჰყავს სათადარიგო ვარიანტი გია ჭანტურიას სახით. ჭანტურია პირდაპირ აღიარა, რომ მას არ აქვს პოლიტიკური ამბიციები და მხოლოდ მეურნეა. გია ჭანტურია თავისი მოწოდებებით “შაირობაში” გამოიწვია შალვა ნათელაშვილი. ასეთი “შაირობა” შალვა ნათელაშვილთან ჭანტურიას კარგს არაფერს მოუტანს. მარტო ჩემი აზრი არ არის ეს, რომ სათადარიგო ვარიანტად ხელისუფლებას შეიძლება ჰქონდეს ეს სცენარი – ქალაქის მერი ხდება გია ჭანტურია, რომელიც ფორმალურად არის ოპოზიციური პარტიის მიერ წარდგენილი, რომ მერე ითქვას, რომ მერის პოსტზე “ოპოზიციამ” გაიმარჯვაო...

– ბევრი ფიქრობს, რომ ხალხი დღეს ადგილობრივ არჩევნებზე კი არ უნდა ლაპარაკობდეს, ვადამდეულ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს უნდა ითხოვდეს.

– ხალხი ლაპარაკობს იმაზე, რაც აწუხებს და როგორც ესმის. საზოგადოება ოპოზიციის მიერ ბოლო წლებში გადადგმული წარუმატებელი ნაბიჯებით არის დაბნეული. ხალხში არის გარკვეული გულგატეხილობა. ზოგი მათგანი კვლავ მოუწოდებს ოპოზიციას რაღაც ეფემერულ ერთობას. ზოგიერთი კი პირიქით, უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებს იმას, რომ ოპოზიცია დაიშინდოს და გამოირკვეს, ვინ ვინ არის. მე, მაგალითად, ძალიან არ მომეწონება, რომ ერთ ქვაბში იქნებიან ალასანიაცა და ნოღაიდელიც. ამ თემაზე, როდესაც სალომე ზურაბიშვილმა გააკეთა მკაფიო განცხადება, ჩემთვის ეს გასაგები და მისაღებიც იყო. ჩემთვის ასევე გასაგები იყო ფორუმის პოზიციაც. ამ დროს გაუგებარია ისეთი პარტიების ქმედებები, რომლებიც არანაირ პოზიციას ამ საკითხებთან დაკავშირებით არ აფიქსირებენ. ოპოზიციის ჩამოყალიბების პროცესს ჩვენ უნდა შევხედოთ, არა როგორც ორ-სამ თვიან პროცესს, არამედ ის უნდა გაგრძელდეს, როგორც ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბების პროცესი. ხშირად ჩვენი პოლიტიკოსები იმეორებენ, რომ არჩევნები არ არის ოლიმპიადა, რომ მთავარი მონაწილეობა იყოს. არჩევნებში მთავარია გამარჯვება, მაგრამ როგორი? როცა ნორაიდელის გვერდით მწერალი დადგება, რომელიც მწერალთა კავშირიდან გამოაგდეს, გაუგებარია; როცა სპორტსმენი დადგება ნოღაიდელის გვერდით, რომელიც სპორტის აკადემიიდან გამოაგდეს, ასევე გაუგებარია!

– რატომ მაინცდამაინც ნოღაიდელისთვის და ბურჯანაძისთვის გახდა შესაძლებელი რუსეთის ხელისუფლებასთან შეხვედრა?

– ყველასთვის გახდება შესაძლებელი, ვინც მოინდომებს. ძალიან გული მწყდება ზვიად ძიძიგურზე, რომელსაც დიდ პატივს ვცემ. მისი ბოლო ნაბიჯები ძალიან მიკვირს და გულს მტკენს.

– პოლიტიკოსები ამბობენ, რომ მათ მოწვევა არ მიუღიათ. რატომ მაინცდამაინც ბურჯანაძე და ნოღაიდელი მიიწვია რუსეთმა?

– ერთ-ერთმა ექსპერტმა საინტერესო მოსაზრება გამოთქვა: ქვეყნის მეორე პირი, რომელიც ორჯერ პირველი პირიც იყო, თურმე მოღალატე ყოფილაო; ქვეყნის მესამე პირი – პრემიერ-მინისტრიც მოღალატე ყოფილაო; ჩვენი ელჩი მოსკოვში თურმე ასევე მოღალატე ყოფილაო და ეს რაღა ხელისუფლებაა, როცა ამდენი მოღალატეა მის შიგნით. გაუგებარია ზოგიერთი პარლამენტარის

განცხადებებიც, რომლებიც გუშინ ნოღაიდელის მთავრობაში იყვნენ, ხოლო დღეს კი ყვირიან, რომ ნოღაიდელი მოღალატეაო. გუშინ რომ მის გვერდით იყვნენ და ერთად ანგრევდნენ ქართულ სახელმწიფოს, დაავიწყდათ?

– გოკა გაბაშვილს გულისხმობთ?

– დიას, პირველ რიგში მას. როცა ერთ მთავრობაში იყვნენ, ნეტა მაშინ ვერ გრძნობდა რომ მოღალატე იყო პრემიერ-მინისტრი? ნოღაიდელი გათამამებულია ქართული სიტუაციით. ის არის სახელისუფლებო პროექტი. შეიძლება ბოლო პერიოდში მართული აღარ არის ხელისუფლებიდან, მაგრამ თავიდან როგორც ოპოზიციური პარტია, ეს შეიქმნა როგორც სახელისუფლებო პროექტი. ის იმიტომ მიუშვეს, რომ მან, როგორც ყველაზე არაპოპულარულმა, ყველაზე ადვილად სალანძღავმა კაცმა რუსეთთან ურთიერთობის ნიშა შეავსო. შეგახსენებთ, თუ რა გაუკეთეს ოქრუაშვილს, როცა მან გადაწყვიტა ოპოზიციაში წასვლა. დაიჭირეს, როცა შენიშნეს, რომ ოქრუაშვილს მუხტი ჰქონდა ხალხი გამოეყვანა. ოქრუაშვილი რომ იტყოდა ხელეებს მოგამტკრევთო, მისი ხელისუფლებას ეშინოდა, ნოღაიდელი როცა ამბობს ამას, მისი ნამდვილად არ ეშინია.

შორენა კოწოწაშვილი